საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 04/405-16 „05" 02 2016 წ.

შპს „ტელეკომპანია მაესტროს" დირექტორს
ბატონ ილია კიკაბიძეს

ბატონო ილია,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეისწავლა თქვენი 2016 წლის 05 თებერვლის წერილი (კომისიაში რეგისტრაციის N შ–6/1125–16), რის თაობაზეც გაცნობებთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45¹ მუხლის მე–10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია დაიცვას მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები, ხოლო ბ) ქვეპუნქტის თანახმად, დაიცვას ავტორიზაციის ყველა პირობა, რომლებიც მის საავტორიზაციო განცხადებაშია ასახული. ამავე პუნქტის ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია <u>კომისიას წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამების გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; უზრუნველყოს ავტორიზაციით განსაზღვრული საქმიანობის დაწყებამდე 10 დღით ადრე კომისიისთვის მის მიერ მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამების გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა,</u> ხოლო დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია <u>ყოველკვირეულად გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს მომდევნო კვირის პროგრამების განრიგი, პროგრამების დასახელებისა და მოკლე ანოტაციის მითითებით.</u>

ამასთან გაცნობებთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 61–ე მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, მაუწყებელი <u>შესაბამისობის დეკლარაციას აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე.</u> ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, კომისიას აცნობოთ შპს „ტელეკომპანია მაესტროს" ვებ–გვერდის მისამართი და <u>მაუწყებლობის დაწყებამდე</u> კომისიაში წარმოადგინოთ და საჯაროდ გამოაქვეყნოთ მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების შესაბამისად შპს „ტელეკომპანია მაესტროს“ გავრცელების ტექნოლოგიად განსაზღვრულია – ციფრული (თბილისის მულტიპლექსი), თანამგზავრული (საქართველო), ინტერნეტი (საქართველო), სხვა ტექნოლოგია (საქართველო). აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ტელეკომპანია მაესტროს“ საეთერო მაუწყებლობის განხორციელება ამ ეტაპზე შეუძლია მხოლოდ თბილისის მულტიპლექსის საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას სურს მაუწყებლობა განახორციელოს ეროვნული ან სხვა ადგილობრივი მულტიპლექსის მეშვეობით, შპს „ტელეკომპანია მაესტრომ“ კომისიას უნდა მიმართოს ავტორიზაციის პირობების მოდიფიცირების მოთხოვნით.

ამასთან, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შპს „ტელეკომპანია მაესტროს“ გავრცელება მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირების საშუალებით (როგორც ეს აღნიშნულია თქვენს 2016 წლის 05 თებერვლის წერილში) საჭიროებს აღნიშნულ პირებს შორის შესაბამისი შეთანხმების (სანებართვო წერილი, ხელშეკრულება) არსებობას.

მოგმართავთ, უზრუნველყოთ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე